



MES 4 20 0000665839



05/08/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**

**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 23 ივლისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83540299827>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი**- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**თორნიკე ჯობავა**- სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი**- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**იურიდიული პირების წარმომადგენლები**

**ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი:**

კახაბერ კახიაშვილი,

ლელა სამხარაძე,

ირაკლი მირუაშვილი,

ნათია გოგინაშვილი,

დამსაქმებელი-სოფიო კუბლაშვილი

**სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებელი“:**

ბესარიონ ორმოცაძე

ანი ნადირაძე

**ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაცია:**

ნინა გოგოლაძე

**შპს ბაზალტ - ფაიბერსი:**

პაატა გოგოლაძე

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

თამარ ზარანდია,

ირაკლი ლლონტი,

მაკო ჯაოშვილი,

დავით გუდაძე,

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და საბჭოს ახალი წევრი, თორნიკე თოხაძე გააცნო საბჭოს და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი /00414/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბაზალტ - ფაიბერისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტროტექნიკოსის /00431/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ნანი დალაქიშვილმა, ცენტრის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მიმართა საბჭოს, რომ შპს ბაზალტ - ფაიბერსმა ითხოვა პროფესიული გადამზადების პროგრამა - ელექტროტექნიკოსის, განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვის გადატანის შესახებ. თუმცა, ცენტრს უკვე უფლებამოსილება აღარ აქვს გადაიტანოს საკითხის განხილვა, რადგან საკითხი უკვე შეტანილია დღის წესრიგში. ლანა გაჩეჩილაძემ, თავის მხრივ დაადასტურა, რომ წარმოების ვადები გასულია. სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საბჭოსთვის შესაბამისი არგუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ აცילהა ითხოვა ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან შპს ბაზალტ - ფაიბერსი არის მათი ასოციაციის წევრი და იურიდიულად მის ფუნქციებში შედის მათი ინტერესების დაცვა და ვალდებულია აიცილოს მათი საქმის განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგოლაძემ ითხოვა მათი საკითხის განხილვის გადადების შესახებ. აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების სამსახურმა კომპანიას მოსთხოვა

ხანმარდამცავი სისტემების შექმნა, გადატიხვრა და დამცავი სისტემების გაკეთება. აღნიშნული სამუშაოების შესრულება ვერ დასრულდა ქვეყანაში არსებული გარემოებების გამო და ამიტომ ითხოვენ საკითხის განხილვის გადავადებას.

ლანა გაჩეჩილაძემ განმეორებით აღნიშნა, რომ წარმოების ვადები გასულია, შენიშნა, რომ ეს არ არის პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემა, რის გამოც საკითხის განხილვა ერთხელ უკვე გადაიდო საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე. საბჭომ უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის გადადების თაობაზე.

მარიკა ზაქარეიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ორგანიზაცია დიდი ხანია ცდილობს ამ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას და დასაბუთებულად იქნება ამის შესაძლებლობა თუ არ მიეცემათ. დაინტერესდა ხარვეზის გამოსწორების ვადა რომ მიეცეთ, თუ არის ამის შესაძლებლობა, რომ არ გახდეს ხელახლა წარმოების დაწყების საჭიროება, რაზედაც დაწესებულებამ განმარტება გააკეთა, რომ მთავარია ვადა მიეცეთ, იმისათვის, რომ დაასრულონ, რაც გასაკეთებელი აქვს.

ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ პროცედურაში თუ მეტი სიცხადე იქნება, მზადაა მხარი დაუჭიროს ამ პროგრამას, რადგან იცის, რომ ძალიან აქტუალურია.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, რომ საკითხის გადატანაზე მხოლოდ საუბარი და არა შინაარსობრივ განხილვაზე, ვინაიდან დაწესებულებამ შუამდგომლობა ითხოვა საკითხის გადატანასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საკითხის განხილვის გადადების შესახებ, საბჭოს უახლოეს სხდომამდე.

შემდგომ საბჭომ განიხილა დანარჩენი საკითხები წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

### **1. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან მოკლედ აღნიშნა, რომ პროგრამის პირველადი განხილვა მოხდა მ/წ 22 აპრილის სხდომაზე. მაშინ საბჭოს ჰქონდა რეკომენდაცია, რომ ჩართული ყოფილიყო პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი და ცენტრის წარმომადგენელი, რადგან პირადად მას მაშინ საბჭოს დატოვება მოუწია პირადი მიზეზის გამო. ლანა გაჩეჩილაძემ მოკლე შესავალი გააკეთა პროგრამასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ დეკორატიული მცენარეების გამრავლების პროგრამა, ეს არის გადამზადების პროგრამა, 6 კვირის ხანგრძლივობით. ორგანიზაციას წარმოდგენილი აქვს განაცხადში, რომ ერთი ჯგუფისთვის პროგრამას განხორციელებს კოლეჯი A გარემოში და პრაქტიკული ნაწილი

განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში, ხოლო პარალელური მეორე ჯგუფი განთავსდება მუხრანის სკოლაში, რომელთანაც თანამშრომლობს კოლეჯი „განთიადი“. სკოლას აქვს პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის მოწყობილი A და C გარემო.

საბჭოზე წარმოადგინა ფოტო-მასალა და ყურადღება გაამახვლა იმ არსებულ ხარვეზებზე, რაც წინა სხდომაზე იყო აღნიშნული: მატერიალური რესურსი არ იყო საკმარისი მსმენელებისათვის, კერძოდ, მაკრატლები. მაშინ ორგანიზაციამ თქვა, რომ უკვე შესყიდული ჰქონდათ და ამ მხრივ ხარვეზი აღარ ფიქსირდება. მეორე ხარვეზი: ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი, თუმცა, საბჭოს სხდომაზე უკვე წარმოადგინეს. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ის, რომ ვინაიდან არ არსებობს დახურული გრუნტი, სეზონურობა ყოფილიყო გათვალისწინებული სწავლების დროს.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ წინა სხდომაზე საბჭოს წევრებს სურდათ მოესმინათ პარტნიორი ორგანიზაციის პოზიცია, რომლიდანაც ექნებოდათ ინფორმაცია, როგორც სეზონურობასთან, ასევე სწავლის შედეგების განხორციელებასთან დაკავშირებით და მცენარეთა იმ სპექტრთან დაკავშირებით, რაც პროგრამის შეწავლის საგანს წარმოადგენს. უფრო მეტი კონკრეტულობა უნდოდა საბჭოს, რა მცენარეებზე იყო საუბარი. ბატონ გიორგი გამყრელიძეს ჰქონდა ბევრი შეკითხვა და მის კითხვებზე დაწესებულებამ ვერ გასცა ამომწურავი პასუხი.

საბჭოს წევრმა, გიორგი გამყრელიძემ დაადასტურა, რომ სწორად იყო აღნიშნული რამოდენიმე არგუმენტი, რომელიც წინა საბჭოზე დაფიქსირდა და გამოთქვა მოლოდინი, რომ მოესმინა დამატებითი არგუმენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა სამხარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში შესასწავლი მცენარეების სპექტრი დაკონკრეტდება პროგრამის განხორციელებისას, სეზონურობის მიხედვით პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამის განხორციელებისას იმ მცენარეებს ისწავლიან, რომლის დაკალმვა/მოყვანაც შესაძლებელია ღია გრუნტში, ამდენად გათვალისწინებული ექნებათ სეზონურობა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი პარტნიორი ორგანიზაცია და მისი აზრით, შესაძლოა უხერხულობა წარმოშვას, თუკი პროგრამაში დააკონკრეტებენ რაიმე მცენარეს, ის შეიძლება მეორე კომპანიას არ ჰქონდეს. ამიტომ აქვთ ზოგადად გაწერილი.

გიორგი გამყრელიძე დაინტერესდა და იკითხა, იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა დაკალმვა, მაგრამ ყველა მცენარის დაკალმვა არ ხდება. პროგრამაში გამრავლების სხვადასხვა მეთოდებია ნახსენები, მხოლოდ ერთ-ერთი მეთოდია დაკალმვა.

ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დისტანციურად ჩატარდა ვიზიტი. მოწოდებულ ფოტოებში და ვიდეოებში ჩანს ტუია, ვარდი და სხვა დეკორატიული ყვავილოვანი მცენარეები, რომელთაც, რამდენადაც ერკვევა, დაკალმვა სჭირდება. რეალურადაც ეს მცენარეები შესაძლებელია ერთი ადგილიდან წაიღო და მეორეში გაახარო. ეს გარკვეულწილად დროსთანაა დაკავშირებული, მაგრამ მარტივად შეიძლება მოგვარდეს და დახურული გრუნტიც არ სჭირდება.

გიორგი გამყრელიძის აზრით, ნაძვზე ცოტა რთული იქნება, იმიტომ რომ გორში ნაძვი არ ხარობს, სპეციფიკური მცენარეა, სხვა კლიმატურ სარტყელშია, მაღალი ზონის მცენარეა, ხარობს მაღალ სარტყელში ბორჯომში, ახალციხეში მაღალმთიან რეგიონებში. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ბევრი ნაძვი ხარობს გორში და გამრავლება შესაძლებელია.

მარიკა ზაქარეიშვილმა დააფიქსირა, რომ მისი აზრით, სეზონურობაა მთავარი და დაინტერესდა, შეიძლება თუ არა პროგრამის განხორციელებას პრობლემა შეექმნას. ექსპერტმა თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი არის თვეები, როცა ვერ განხორციელდება ეს პროგრამა, მაგრამ, დანარჩენ თვეებში მოიძებნება სხვადასხვა მცენარეები, სადაც გამრავლების მეთოდების სწავლა შესაძლებელი იქნება.

ქრისტინე მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა არის ის, რომ დეკორატიულ მცენარეებში შედის ძალიან ბევრი სახეობა, და კოლეჯში შესაძლებლობაა, რაღაც კონკრეტულ მცენარეებზე ასწავლონ. მისთვის პროგრამის სახელი არის დამაბნეველი. ვინაიდან მთლიანად დეკორატიული მცენარეები არ ისწავლება, მიაჩნია, რომ პროგრამის სახელწოდებაშიც უნდა დაკონკრეტდეს. შენიშნა, რომ ზოგი დეკორატიული მცენარე ღია გრუნტში საერთოდ ვერ ხარობს და სჭირდება სპეციალური მოყვანა. მისთვის რეალურად ეს უფრო ფართო გადამზადება ჩანს, ვიდრე პროგრამის შინაარსი მოიცავს.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, შეიძლება თუ არა დაკონკრეტებულიყო პროგრამის სახელწოდება.

დარგის ექსპერტმა, თამარ ზარანდიამ განმარტება გააკეთა, არ არის აუცილებელი იმ მცენარეების დაკოკრეტება, რომლებიც მრავლდებიან დაკალმვით. სხვადასხვა მიდგომა აქვთ მცენარეებს, ხე-მცენარეებს და ბუჩქოვან მცენარეებს. სამი მიმართულებით ასწავლიან გამრავლებას ძირითადად და ეს გაწერილია პროგრამაში, ამის გაკეთება შესაძლებელია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

გიორგი გამყრელიძემ ითხოვა, დაწესებულების წარმომადგენლებს დაესახელებინათ 5 მცენარე, რომელიც მრავლდება თესლით და 5 მცენარე - კალმით, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონკრეტულად ვერ იტყვის, ვინაიდან დარგის კომპეტენცია არ აქვს. აქვე შენიშნა, რომ პროგრამის განხორციელების პერიოდში, სეზონის შესაბამისად, რომელი მცენარის საშუალებაც იქნება, იმას ასწავლიან.

ნიკოლოზ მესხიშვილს აინტერესებდა, რაიმე კვლევა თუ გაუკეთებიათ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, რამდენად არსებობს ამ პროგრამის შესწავლის ინტერესი. სოფიო, კუბლაშვილი, სკოლის დირექტორი ჩაერთო და თქვა, რომ მათთვის ეს არის ახალი შესაძლებლობა, პირველ ნაბიჯებს დგამენ. მან დააფიქსირა თავისი პოზიცია, თუ ამის საშუალება არის, რომ სკოლას დაუდგინონ გვერდში და ამ მხრივ განვითარდეს სკოლა. მათ აქვთ უკვე გამოცდილება და თანამშრომლობდნენ კოლეჯ „განთიადთან“ და მათ იციან რამხელა სიახლე იყო მებაღეობის პროგრამაში მათი სკოლის მოსწავლეების ჩართვა.

ლანამ გაჩეჩილაძემ იკითხა, რომ ვიზიტის დროს „შატო მუხნართან“ არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება, იყო მხოლოდ „ნაკადულთან“, დაინტერესდა, თუ არის ამ მხრივ სიახლე. ლელა სამხარაძემ უპასუხა, რომ ნაკადულთან არის ხელშეკრულება, შატო-მუხნართან ზეპირსიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია. არ არის დოკუმენტი, თუმცა არის შეთანხმება და ისინი ხელშეკრულებასაც მოაწერენ ხელს.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, მიენიჭოს დაწესებულებას პროგრამის განხორციელების უფლება გარკვეული პირობით, კერძოდ, პროგრამა უფრო კონკრეტულად იყოს გაწერილი, უნდა დაზუსტდეს რომელ მცენარეებს შეასწავლიან და მოწესრიგდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ხელშეკრულებების /პირობების მოგვარება. პროგრამის დაწყებამდე უნდა მოგვარდეს ეს საკითხები და ეცნობოს ცენტრს.

ასევე, საბჭომ, ცენტრის წინაშე დააყენა შუამდგომლობა, განხორციელდეს პროგრამის მიმდინარეობის მინიტორინგი, პროგრამაზე სწავლის დაწყების შემდეგ.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 1 (ქრისტინე მეფარიშვილი)**

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების გამრავლება /00461 (დანართი 1).

**2. სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი /00414/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

შესავალი ლანა გაჩეჩილაძემ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ეს არის პროგრამა, რომელიც საბჭომ წინა სხდომაზე განიხილა. პრობლემები იყო დაფიქსირებული პროგრამასთან მიმართებით, შინაარსობრივად განახლებული პროგრამა წარმოადგინა ორგანიზაციამ. ვიზიტი არ განხორციელებულა. წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესწავლა მოხდა ადგილზე და საბოლოო დასკვნაში ხარვეზები არ არის. მან საბჭოს შეახსენა, რომ წინა ვიზიტზე ქ-ნი ქეთევან ჯანელიძე იყო მივლინებული ცენტრიდან და დაფიქსირდა ფაქტი, რომ წარმოდგენილი პროგრამა, რაც ცენტრში იყო შემოსული, განსხვავდებოდა იმ პროგრამისგან, რაც რეალურად შემუშავებული ჰქონდათ. დაწესებულების განმარტებით, ტექნიკური აღრევა მოხდა, და ამჯერად სრულყოფილი ვერსია წარმოადგინა დაწესებულებამ.

დარგის ექსპერტმა, ირაკლი ღლონტმა, დაამატა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესოა, მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც უნდა მიიღონ მსმენელებმა. პროგრამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული შენიშვნები არ ყოფილა, იყო მცირე რეკომენდაცია უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, რეკომენდებულია, რომ პროგრამის საწყის ეტაპზე ისწავლებოდეს საწარმოო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემატიკა თეორიული სახით, რაც შემდეგ პრაქტიკული საქმიანობის დროს იქნება გამოყენებული სასწავლო პროცესში სწავლის შედეგების მიღწევის დროს. ექსპერტის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია სტუდიაში მუშაობის დროს უსაფრთხოება, პროგრამაში კი მოგვიანებით არის და მისი აზრით, ჯობია სწავლის დასაწყისში დაიწყონ უსაფრთხოების საკითხების სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

ნიკოლოზ მესხიშვილმა გაიხსენა წინა საბჭოზე პროგრამასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი, რომ სხვა ფაილი იყო გადმოგზავნილი. იმის მერე თუ არაფერი შეცვლილა, კითხვები არ აქვს. აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი მსჯელობა იყო წინა საბჭოზე და დასკვნასაც გაცნობილი არიან.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, რომ სამსახური ეცადა ექსპერტი ამ ეტაპზე მაღალი კომპეტენციის და ექსპერტული უნარების მქონე პრაქტიკოსი ყოფილიყო. ამდენად, ძალიან

სასიამოვნოა, რომ კიდევ ერთხელ იქნა შესწავლილი ეს პროგრამა და ყველა ნიუანსი, რეკომენდაცია პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და ძალიან ფასეული დაწესებულების სასარგებლოდ. ძალიან ბევრი მსჯელობა იყო წინა საბჭოს სხდომაზე და ფიქრობს, ეს დასკვნაც საბჭოსთვის ცნობილია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი /00414/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელს (ს/კ: 204858163) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი /00414 (დანართი 2).

**საკითხის განხილვის და კენჭისყრის შემდეგ მოხდა საბჭოს წევრების ცვლილება: სხდომა დატოვა თორნიკე ჯობაგამ და გიორგი ვეკუა შემოუერთდა სხდომას.**

**3. ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ აქაც ანალოგიური შემთხვევასთან არის საქმე. საკითხი განხილულ იქნა საბჭოს წინა სხდომაზე. პრობლემა იყო პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით, აგრეთვე წარმოდგენილი არ იყო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დაწესებულება პრაქტიკის განხორციელებას გეგმავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებთანაც უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები, ამდენად გამოსწორებულია ხარვეზი.

ექსპერტმა, მაკო ჯაოშვილმა თქვა, რომ პროგრამა ძალიან აქტუალურია. პროგრამის ხელმძღვანელიც და დაწესებულების წარმომადგენლებიც ძალიან კომპეტენტურები არიან. გაეცნო პროგრამას, წინა დასკვნას, აგრეთვე, დამატებით გამოითხოვა პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტები. მან თქვა, რომ ამ მიმართულებით პროფესიული სტანდარტის შემუშავება მიმდინარეობს, რაც იმას ადასტურებს, რომ პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწება სამომავლოდ. პროგრამა მოიცავს ხუთ სწავლის შედეგს. როგორც დარგის ექსპერტს, მიაჩნია, რომ პროგრამა, სწავლის შედეგებით აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო ეროვნულ ჩარჩოს მეხუთე დონეს. მან გასცა თავის მხრივ ერთადერთი რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატებოდეს 40 სთ-ს, უმჯობესია, პირველი კვირის 48 საათიდან 8 საათი გადავიდეს მეათე კვირის 32 საათზე. დანარჩენი საბჭოს წევრების სამსჯელოა. მან წარმატებები უსურვა დაწესებულებას, რამეთუ დიდი გამოცდილება აქვთ, კომპეტენტურები არიან და კარგად გაართმევენ თავს პროგრამის განხორციელებას.



მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც მას ახსოვდა და ოქმსაც გადახედა, პროგრამას ჰქონდა ბევრი სწავლის შედეგი. ამჟამად საკმაოდ შეკუმშული და გამართულია სწავლის შედეგები. როგორც ზემოთ ითქვა, ხელშეკრულებები, რომელიც იმ ეტაპზე გაფორმებული არ იყო, ამჯერად წარმოდგენილია.

გიორგი გამყრელიძემ თქვა, რომ მასაც ახსოვს, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით იყო პრობლემები, ჩამოთვლილი იყო 31 სწავლის შედეგი. მთავარი ამოცანა იყო, ერთ პროგრამას არ უნდა ჰქონდეს ამდენი სწავლის შედეგი. დარგის ექსპერტის მოსაზრებით ეს პრობლემა აღმოფხვრილია. დაინტერესდა, რას ფიქრობს დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ საათები სწორად იქნეს გადანაწილებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა ეთანხმება ექსპერტის რეკომენდაციას.

ლანა გაჩეჩილაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, მსმენელთა მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით განემარტათ.

ნინა გოგოლაძემ მადლობა გადაუხადა ლანა გაჩეჩილაძეს ამ საკითხის წამოწევისთვის და თქვა, რომ როდესაც შემოჰქონდათ პროგრამა, რაოდენობა დააფიქსირეს ერთ ჯგუფში რამდენი ჩაირიცხებოდა - 30 მსმენელი. შემდეგ კი კონსულტაციის/კომუნიკაციის შედეგად გაიზარეს, რომ უნდა დაეფიქსირებიათ 60 ადგილი. პროგრამაზე მოთხოვნა არის და ამ რაოდენობის მსმენელების მიღების შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ და მაქსიმალურად უნდათ გამოიყენონ.

ნანი დალაქიშვილმა დაზუსტა, რომ წინა საქმის წარმოება დისტანციურად განხორციელდა და ჩართვას ესწრებოდნენ ლანა გაჩეჩილაძეც და თვითონაც და ახსოვს, რომ პროგრამის განხორციელების ადგილის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება მოხდა ვიდეო ზარით. ამდენად ადასტურებენ, რომ მართლაც აქვთ შესაძლებლობა. შენიშნა, რომ ამ მეორე ექსპერტული დასკვნის ფარგლებში მხოლოდ პროგრამა შეფასდა და არ შეფასებულა მატერიალური გარემო.

ლანა გაჩეჩილაძემ დაადასტურა, რომ წინა წარმოება დისტანციურად განხორციელდა და ნამდვილად დაესწრო გასაუბრებასაც და გარემოს დათვალიერებასაც დისტანციურად. შენიშნა, რომ წინა დასკვნაში ცალსახად წერია, რომ 60 მსმენელზეა სასწავლო და საცხოვრებელი ფართი. გარდა იმისა, რომ 60 სტუდენტი ერთად შეუძლიათ მიიღონ, ისინი ეტაპობრივად აპირებენ მიღებას და არ მოხდება თეორიული ნაწილის სასწავლო პროცესის გადაფარვა ორი ჯგუფის დროს. შენიშნა, რომ წინა დასკვნის საბოლოო ცხრილში მითითებული იყო 30 სტუდენტი. გასაუბრების დროს წამოიჭრა ეს საკითხი, რომ მოხდა გაუგებრობა და იმედია საბჭო მიიღებს მხედველობაში ამ არგუმენტებს.

საბჭოს წევრმა, მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მაშინაც უჭერდა მხარს ამ პროგრამას და ახლაც. ძალიან საჭიროა ამ კომპეტენციის ადამიანები, ამდენად მისთვის მისაღებია 60 მსმენელით განისაზღვროს ზღვრული რაოდენობა.

ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ თვითონაც ჩართული იყო ამ პროცესში და ადასტურებს, რომ არის ფართი, არეალი, როგორც სატრენინგო, ასევე შეხვედრებისთვის, რაც ნახა დისტანციური ჩართვისას და დააფიქსირა, რომ ორგანიზაციის მზაობა, კომპეტენტურობა და დეტალებზე ორიენტირებულობა ნამდვილად გამოვლინდა.

ნიკოლოზ მესხიშვილმაც აღნიშნა, რომ მხარს უჭერს პროგრამას და ვერ ხედავს, რომ რაიმე შეფერხება მოხდეს პროგრამის განხორციელების დროს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური

განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაციას (ს/კ: 402052470) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი /00503 (დანართი 3).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 14:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

რადგან საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი, ოქმის ატვირთვის დროს სარგებლობდა კუთვნილი სამუშაოებო დღით, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვეტილება მიიღო საბჭოს მდივნის ხელმოწერის უფლება დაკისრებოდა საბჭოს წევრ, გიორგი გამყრელიძეს.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00461	დეკორატიული მცენარეების გამრავლება	გადამზადება	მესამე	6	ქართული	12	ქ. გორი, ზესიკის ქ. №2
						12	მცხეთის რაიონი, ს. მუხრანი

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00414	ვიდეოოპერატორი	მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00503	ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული საქმიანობის საბაზო სასწავლო კურსი	გადამზადება	მეხუთე	22	ქართული	60	ქ. რუსთავი, ბალანჩივაძის ქ. №9